პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 126 (19867) | სამშაბათი, 2 ივნისი, 1987 წელი. | ფასი 8 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1987 წლის 30 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მოხსენება იმ ოვითმფრინავის მიერ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, რომელსაც პილოტობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე მ. რუსტი.

ამ საკითხის განხილვის დროს დადგინდა, რომ ჰამბურგის ერთ-ერთი აეროკლუბის კუთვნილი თვითმფრინავი საჰაერო თავდაცვის რადიოსალოკაციო საშუალებებმა აღმოაჩინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვართან მოფრენის დროს. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა ორჯერ შემოუფრინეს დასავლეთ გერმანიის თვითმფრინავს.

ამავე დროს პოლიტბიუროს აღინიშნა, რომ საჰაერო თავდაცვის ჯარების სარდლობამ გამოიჩინა შეუწყნარებელი დაუდევრობა და გაუბედაობა, რათა აღეკვეთა დამრღვევი თვითმფინავის ფრენა ისე, რომ არ მიეშართა საბრძოლო საშუალებებისათვის. ეს ფაქტი მოწმობს სერიოზულ ნაკლოვანებებს ქვეყნის საჰაერო სივრცის დაცვის საბრძოლო მორიგეობის ორგანიზაციაში, იმას, რომ არ არის სათანადო სიფხიზლე და დისციპლინა, დიდი ხარვეზებია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ ჯარების ხელმძღვანელობაში.

აღნიშნული დარღვევის აღკვეთაში გულგრილობისა და არაორგანიზებულობისათვის, საჰაერო თავდაცვის ჯარების მოქმედებისადმი სათანადო კონტროლის უქონლობისათვის პოლიტბიურომ საჭიროდ ცხო თანამდებობიდან გათავისუფლოს საჰაერო თავდაცვის ჯარების მთავარსარდალი ამხ. ა. ი. კოლდუნოვი. მიღებულია გადაწყვეტილება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და დისციპლინის გადაჭრით ამაღლების, ჯარების უნარიანი მართვის, საბჭოთა სახელმწიფო სუვერენიტეტის ყოველი ხელყოფის აღკვეთისათვის მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის ამოცანას.

ცნობად არის მიღებული, რომ სსრ კავშირის პროკურატურა იძიებს სსრ კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას და ამ სიტუაციაში თანამდებობის პირთა მოქმედებას, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქის პასუხისმგებლობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 7 მაისის დადგენილების მიღებიდან განვლილ დროში ცენტრში და ადგილებზე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ფიზიკური ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, ლოთობისადმი შეუურიგებლობის ვითარების შექმნისათვის. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებას, შრომის დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. სპირტიანი სასმელების მოხმარება 1986 წელს თითქმის ორჯერ შემცირდა 1984 წელთან შედარებით. შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები მოცდენების გამო. მესამედით შემცირდა სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიყვანილ პირთა რიცხვი, 26 პროცენტით — ლოთობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი. შემცირდა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ტრავმატიზმი. მნიშვნელოვნად იკლო ავტოავარიების შედეგად დაზარალებულთა რიცხვმა. მრავალი წლის მანძილზე ქვეყანაში პირველად შემცირდა ადამიანთა სიკვდილიანობა.

განვლილი ორი წლის პრაქტიკა ადასტურებს იმ დასაზღვლი ამოცანის რეალობას, რომ აღმოიფხვრას ლოთობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან. ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამავე დროს ეს მუშაობა ყველგან როდი მიმდინარეობს სათანადო სიმტკიცით, შემტევითობითა და თანამიმდევრულობით. ჯერჯერობით არ მოხერხდა ყველგან შექმნილიყო ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო ფრონტი, ამ პრობლემებისაკენ შემოგვებრუნებინა ყველა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაგვეზარდა შრომითი კოლექტივების აღმზრდელობითი როლი და გავლენა, უზრუნველგვეყო აღმზრდელობითი, ეკონომიკური და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ღონისძიებათა უნარიანი შეხამება. არ არის საგრძნობი შემობრუნება სოციალური ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან მუშაობის დიფერენცირებული, ინდივიდუალური ფორმებისაკენ.

პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი მუშაკი ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ საკითხებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებას, გადაპარბებით აფასებს მიღწეულს, არ ითვალისწინებს იმას, რომ სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილებას ვერ დავძლევთ ერთი ხელის დაკვრით, ხმაურიანი ხანმოკლე კამპანიებით, ეს შეუპოვარი, სისტემური, ფაქიზი, მოდგინე მუშაობა არ ვაწარმოეთ. უმთავრესად ამკრძალავი, ადმინისტრაციული მეთოდებით ლოთობის აღმოფხვრის პრობლემის გადაჭრის ცდები არათუ არ გვაძლევს მტკიცე შედეგებს, არამედ, პირიქით, ავადმყოფობას უფრო აღრმავებს, წარმოშობს ახალ პრობლემებს, ამის შედეგად კი სახელს უტეხს მნიშვნელოვან, საჭირო საქმეს.

ბევრ ადგილას მუშაობა ლოთობის პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის ამ ბოლო დროს შესუსტდა. ქვლავ არის წარმოებაში, მათ შორის საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტზე, საზღვაო ფლოტის გემებზე, სხვა იმ დარგებში სმის შემთხვევები, სადაც წარმოება დაკავშირებულია გაზრდილ საშიშროებასთან. აქ-იქ აღმოფხვრილი არ არის სპირტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევები, ქალაქების ქუჩებში ქვლავ ჩნდებიან მთვრალები. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში 1987 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა დამნაშავეობა ლოთობის ნიადაგზე.

ქვლავინდებურად მცირეა აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური მუშაობის ქმედითობა. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ის, რომ ბევრი პარტიის წევრი, მათ შორის ზოგიერთი ხელმძღვანელი შუშაკი, არ გვიჩვენებს იმათ მიმართ შეურიგებლობის, უკომპრომისობის მაგალითს, ვინც არღვევს ანტიალკოჰოლურ კანონმდებლობას, ხოლო მათგან ცალკეულები თავად არიან შეპყრობილი ამ მანკით. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში

(დასასრული მე-2 გვ.)

ი. კ. ლიგაჩოვი თბილისში

31 მაისს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი.

თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების სარდლობის წარმომადგენლები.

• • •

ყველაფერი, რასაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, განუყრელად არის დაკავშირებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელთან, მისი ანდერძის განხორციელებასთან, მის მიერ შექმნილი პარტიის გარდამქმნელ საქმიანობასთან. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობის ისტორიული შედეგი. ლენინი ცოცხლობს ჩვენს საქმეებში, ჩვენი საზოგადოების დღევანდელ რევოლუციურ განახლებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ნამდვილად ნოვატორულ საქმიანობაში, ყველა მომქმე რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებში, რომლებიც განუხრელად ასხამენ ხორცს გარდაქმნის იდეებს, ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის ცდადწყვეტილებებს.

1 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი მივიდა ვ. ი. ლენინის მოედანზე და ყვავილებით შეამკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები.

ცერემონიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

• • •

ი. კ. ლიგაჩოვი ეწვია თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოს. აქ მიმდინარე რეკონსტრუქციამ, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიღწევებს, უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: იწყება „ვლ-15“ მაგისტრალური თორმეტღერძიანი ლოკომოტივების სერიული გამოშვება, რომლებიც ციმბირისა და ურალის რთულ პირობებში სამუშაოდ არის განკუთვნილი.

კოლექტივის წარმატება ნათლად ჩანს. მაგრამ საწარმოს მუშებთან, სპეციალისტებთან და ხელმძღვანელებთან საუბრების დროს, რომლებიც უშუალოდ საამქროებში გაიმართა, ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს. გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. დ. ჩიგაძემ გამოყო უმთავრესი პრობლემები.

ი. კ. ლიგაჩოვი: ორ წელიწადზე მეტია ქვეყანაში გარდაქმნა მიმდინარეობს, თქვენს ქარხანას კი, აი, უკვე მესამე წელიწადია გეგმა ვერ შეუსრულებია. რა დაგმართათ, რა გიშლით ხელს?

ზ. დ. ჩიგაძე: კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს საამისოდ, რომ თავი გაართვას საწარმოო პროგრამას, მაგრამ ხელს გვიშლის გარეშე პრობლემები, შეფერხებანი კოოპერაციულ ჯაჭვში. მაგალითად, **თემქას** პოტენციალის ზრდა არ არის უზრუნველყოფილი დიდი გაბარიტის ფოლადის სხმულის მიწოდების შესაბამისი ზრდით. აი, უკვე ამდენი წელიწადია შენდება და ვერა და ვერ დააყენა საშველი პროდუქციის გამოშვებას როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის დარგთშორისმა ქარხანამ. ჩვენ წელიწადში 10 ათასი ტონამდე სხმული გვჭირდება, საკუთარი ძალებით კი შეგვიძლია ვაწარმოოთ მხოლოდ ათასი ტონა. გარდა ამისა, ჩვენ გამუდმებით გვიმცირებენ ელმავლებზე მოსახმარი მასალების ნორმატივებს.

ი. კ. ლიგაჩოვი: სწორი ბრძანებაა, დარგთშორის საწარმოებს ყოველთვის უფრო მეტ ხანს აშენებენ, თითქოს ისინი არავისი არ იყოს! რამდენადაც მესმის, სიმძლავრენი ყოფნით, მაგრამ გაქვთ შეუსაბამობანი. სწორედ მათ გადასაწყვეტად არსებობს დირექტორი. მიწოდებაში დახმარება ჩვენი ამოცანაა. აქ უნდა ჩავრთოთ დარგობრივი სამინისტრო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სანმომარაგება, სხვა საკავშირო ორგანოები. რაც შეეხება მასალის დაზოგვას, ეს თქვენი უშუალო საქმეა. მასალატევადობის მიხედვით თბილისური ელმავალი ჩამორჩება სხვა ქვეყნების ლოკომოტივებს, ბევრი ლითონი მოდის ყოველ კილოვატ სიმძლავრეზე. ამავე დროს, პროდუქციის მთელი მატება ეკონომიის ხარჯზე უნდა ხორციელდებოდეს. ასე რომ, სწორედ ამ საქმეს უფრო საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი.

თავის სამუშაო ადგილზე მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის თემამ განსაზღვრა იმ საუბრების ტონი და შინაარსი, ი. კ. ლიგაჩოვს რომ ჰქონდა ბრიგადების წევრებთან, რომლებსაც სათავეში უდგანან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი გ. ა. მეტონიძე და ო. გ. ზარიფაშვილი. გაიმართა დაინტერესებული, საქმიანი სჯა-ბაასი იმის შესახებ, რომ საქართველო ყოველნაირად განვამტკიცოთ საშემსრულებლო დისციპლინა, გავაძლიეროთ თითოეული მუშაკის ინიციატივა და დაინტერესება.

ო. გ. ზარიფაშვილი: ჩვენი მუშაობა დაჩქარებისათვის არიან შემართული. სურთ უკეთ იმუშაონ, და გულსატკივნა, როცა მოგიჯნავე დაგაღალატებს. არცთუ იშვიათად მოულოდნელად შეგვიწყვეტენ მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდებას, რის შედეგადაც ირღვევა საწარმოო რიტმი: ჩვენ დაგვაღალატებენ, და ჩვენც უნებლიედ სხვებს ვაფერებთო...

გ. ა. მეტონიძე: პარტნიორები ერთად უნდა მუშაობდნენ, ერთად უნდა შესტკიოდეთ გული საქმისათვის. ეს კი ხშირად ვერ ხერხდება... აი, მაგალითად, ჩვენმა უდიდესმა მომიჯნავემ — ნოვოჩერკასკის ელმავლსაშენებელმა ქარხანამ — 117 წყვილთვალი დაგვაკლო, თან იმას იმიზეზებენ, რომ ახალ პროდუქციას ითვისებენ და არ გაიჩნიათ საწარმოო ფართობები და ძალები ჩვენი შეკვეთების ზუსტი შესრულებისათვის. ბინა ეს საქმეა?

ი. კ. ლიგაჩოვი: ადამიანის ფაქტორი, პასუხისმგებლობის ფაქტორი დღეს სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს. ხშირად მთავარია არა იმდენად ტექნიკა, რამდენადაც ადამიანები. აკი სწორედ უთაურობის, უდისციპლინობის, ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობის გამო მოუვიდა ავარია ჩერნობილის რეაქტორს, თბმამავალ „ადმირალ ნახიმოვს“. მოხდა ახლანდელი შემთხვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან თვითმფრინავის შემოსვლასთან დაკავშირებით. ანდა, ავიღოთ თქვენი დარგი: მთელ ქვეყანაში ორად ორი ქარხანა აწარმოებს მაგისტრალურ ლოკომოტივებს და ვერც ერთი ვერ ასრულებს გეგმას. ეს დაღს ასვამს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას, რომელიც, როგორც იტყვიან, მთელი ეკონომიკის ხერხემალია. არადა, ჩვენ 4 მილიარდი ტონა ტვირთი გვაქვს გადასაზიდი. სწორედ ამიტომ საქმე, რომელიც თქვენ გაკისრიათ, უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, და აქ უთუოდ უნდა მოუფმატოთ მუშაობას.

აღინიშნა, რომ საწარმოს საქმიანობა წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, იგი უშვებს მსოფლიო სტანდარტების დონის შესაფერის პროდუქციას, ხოლო მეორე მხრივ — ნელა მიმდინარეობს სიახლეთა ათვისება, არ არის საკმარისი სერიული მოდელების მიწოდება. ინერგება უახლესი ტექნოლოგია, და იქვე გრძელდება ძმძე ხელშრომა. შტაბელერებს, რომლებსაც ქარხანა უშვებს, ხარისხის ნიშანი ჰქონდა, მაგრამ დაჩაგრა იგი. ყოველივე ეს მოწმობს, რომ შენელდა წარმოების განვითარების ტემპი.

ბევრი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ადგილზე, საკუთარი ძალებით. მაგალითად, ტექნოლოგიური ოპერაციების მექანიზება-ავტომატიზება, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია. დღეს საწარმოს პარკის 46,6 პროცენტს შეადგენენ „ვეტერანი“ ჩარხები. და თუმცა ჯრძელდება თანამედროვე ტექნიკით ქარხნის აღჭურვა, ერთ-ერთი მთავარი როლი ეკუთვნით საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორებს. ისინი ეწევიან ასეთ მუშაობას. კერძოდ, შექმნილია და მოქმედებს ლითონის პლაზმური ჭრის. ჩარხი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა ნარჩენები. ი. კ. ლიგაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ფზვნილთა მეტალურგიის მეთოდით მიღებულ დეტალებს, რომელსაც სულ უფრო მეტი ხვედრითი წილი ეთმობათ ელმავლების კონსტრუქციებში, უზრუნველყოფენ მუშათა შრომის უკეთეს პირობებს, ხელს უწყობენ ლითონის ოპტიმალურ გამოყენებას.

საწარმოში იზრდება რიცხვიანი პროგრამული მართვის ჩარხების რაოდენობა. დღეს აქ ორმოცდაათამდე ასეთი ჩარხია. ისინი, როგორც სხვა დიდეფექტიანი მოწყობილობანი, მათ შორის რობოტიზებული კომპლექსები, უნდა მუშაობდნენ სრული ძალით, რამდენიმეცვლიანი რეჟიმით, უზრუნველყოფდნენ მაქსიმალურ უკუგებას. მაგრამ არცთუ იშვიათად ეს ძვირადღირებული მოწყობილობა წლების მანძილზე ტყუილად ცდება. ასეთი ფაქტი დაასახელა ელექტროშემდუღებელთა ბრიგადიმრმა ბ. ო. კუბალაშვილმა. ავტომატურ შესადუღ ხაზს, რომელიც ფსკოვის მძიმე ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანამ გამოგზავნა, ბევრი კონსტრუქციული ხარვეზი აქვს, და ვერ მოხერხდა მისი გამართვა. ამის შედეგად იგი თითქმის სამი წელიწადია ბალასტად აწევს საამქროს და ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს: ვერ უწყობს ხელს მუშათა შრომის შემსუბუქებას, ოპერაციების ნაყოფიერების გაზრდას და ხარისხის გაუჯობესებას.

ხარისხის პრობლემას დიდი ადგილი დაეთმო ი. კ. ლიგაჩოვის საუბრებში ქარხნის მუშებთან და სპეციალისტებთან. გ. ი. გოგოლაძის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელებთან საუბრისას იგი დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს მუშაობა პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში.

გ. ი. გოგოლაძე: თუმცა სახმღება მკაცრად სთხოვს პასუხს ყოველ ჩვენგანს, ელმავლმშენებლები მაინც არასაუწყვიან „ოპერაციულ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკის გ. ვ. კვერნაძის ხელმძღვანელობით შექმნა ხელმარჯვეთა ჯგუფმა. აეკეთა კლასის მანქანები არ გამოდის არც ჩვენს ქვეყანაში და არც სოციალისტურ სახელმწიფოებში. არადა, ისინი ძალზე გვჭირდება. ავტომობილს შეუძლია გადაიტანოს 2 ტონამდე ტვირთი, ეკონომიურია, გამოირჩევა კარგი გამავლობით. ამას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის უგზოობის პირობებში მუშაობისათვის.

მუშაობის გარდაქმნა და დაჩქარება მოითხოვს ბევრი ყოფითი პრობლემის ოპერატიულ გადაჭრას, რომლებიც ხალს აწუხებს, ითქვა ელმავლმშენებლებთან საუბრების დროს. უდავოდ მოსაწონია გაერთიანების ადმინისტრაციის, პარტკომისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარჯა, რომლებიც ისწრაფვიან განამტკიცონ საწარმოს სოციალური ბაზა. მაგალითად, ყოველწლიურად ელმავლმშენებელთა 70-ზე მეტი ოჯახი იღებს ახალ ბინას, საწარმოში მოქმედებს მძლავრი კვების კომბინატი, რომელიც მრავალფეროვანი, გემრიელი და იაფი სადილით უზრუნველყოფს მშრომელებს. ქარხნის მუშაკებსა და მათს ოჯახებს შეუძლიათ აღიდგინონ ძალები და ჯანმრთელობა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებში და დასასვენებელ ბაზებში. შავი ზღვის სანაპიროზე შენდება ახალი პიონერული ბანაკი, თბილისის ზღვის პირას — დიდი პოლიკლინიკური კომპლექსი. ამავე დროს, სოციალური მშენებლობის ტემპი უნდა დაჩქარდეს. ამ საქმეს საწარმოსთან ერთად უნდა უძღვებოდნენ რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობა.

ამჟამად ბევრ რესპუბლიკაში, მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ყველგან და ყველაფერში ზნეობრივი კლიმატის გასაჯანსაღებლად. ასეთივე მუშაობა აქტიურად წარმოეს საქართველოშიც, და იგი მტკიცედ უნდა გაგრძელდეს.

საწარმოს აქტივთან შეხვედრისას ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო უფრო ოპერატიულად გადაწყდეს ქარხნის ტექნიკური განახლების პრობლემები, საბოლოოდ მოიშორონ თავიდან ძმძე ხელშრომა და გადაიკისრონ იგი მანქანა-მექანიზმებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა აქტიურად ვემზადოთ ნამდვილ და სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად. ითქვა, რომ ისინი ახალ უფლებებს ანიჭებენ წარმოთის კოლექტივებს და ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის — მშრომელთა სტიმულირების საქმეში. ხელფასის ახალი სისტემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის საწარმოო სფეროში დასაქმებულ 75 მილიონ კაცს მოიცავს, საწარმოებისაგან მოითხოვს პერსონალის გასამრჯელოს გასაზრდელად თავად გამოიმუშაონ მეტი სახსრები, უშუალოდ დაუკავშირონ ხელფასი მუშაობის ეფექტიანობას და ხარისხს.

განახლების პროგრამა, რომლითაც თბილისელ ელმავლმშენებელთა კოლექტივი ცხოვრობს და მოქმედებს, ვრცელია, მისი მიზნები კონკრეტულია. მთავარია, არ მოვუკლოთ მუშაობას, გავაძლიეროთ მისი ტემპი და ზუსტ ორიენტირად ვიქონიოთ გარდაქმნის მოთხოვნები.

თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება. პრაქტიკულად მთელი სასურსათო ნედლეული აქ საქმეს ხმარდება. უნარჩენო ტექნოლოგიას, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა ფართო გამოყენებას არაერთგზის გაუყვანია საწარმო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ლიდერთა შორის.

გაერთიანების მეთაურ საწარმოს ეწვია ი. კ. ლიგაჩოვი. მუშებთან, ინჟინრებთან, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საუბრების დროს მთავარი ყურადღება მიეპყრო სასურსათო ნაწარმის ხარისხის ყოველმხრივი გაუჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს. დღეს საწარმო უშვებს 50-მდე სახეობის რძის პროდუქციას, თანაც, მის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებს მეორეული რესურსებისაგან. ნარჩენების კომპლექსური გამოყენების გზით ტონა გადამუშავებელ ნედლეულზე მზა პროდუქციის ანრთმი გაიზარდა 320 მანეთამდე, რაც გაცილებით სჭარბობს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. საწარმოსამარკიანი პროდუქტების ნუსხაშია ნადუღი, ყველეული და სხვ. ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით აქ შემუშავებულია კვერცხშრატის კონცენტრატის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება მაკარონეულისა და ახალი პროდუქტის „ჭეშტარის“ დასამზადებლად.

ამჟამად ხორციელდება საწარმოს ტექნიკური განახლება, რომლის მთავარი მიზანია გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა, მთლიანად გამორიცხოს მძიმე ხელშრომა. ამას ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიური ხაზები, საფასურებელი მოწყობილობანი და მართვის ავტომატიზაციისა და ტექნიმა. ყოველივე ამან საწარმოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო ბაზის განუხრელ განვითარებასთან ერთად გაერთიანებას საშუალება მისცა უკვე დღეს გაეძლიერებინა და გაეუმჯობესებინა მუშაობა, გაეზარდა მშრომელთა გასამრჯელო.

ამასთანავე კოლექტივი თავის მუშაობაში აწყდება სერიოზულ სიძნელეებს: შესაბამისი მოწყობილობის უქონლობის გამო გაჭიანურდა პროდუქციის ხარისხის განსასაზღვრავი ექსპერეს-მეთოდების დანერგვა, არის მთელი რიგი სხვა პრობლემებიც. ეს საკითხები ოპერატიულ და ამომწურავ გადაწყვეტას მოითხოვს, აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა. ამავე დროს ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა უფრო აქტიურად ეძიონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ოპტიმალური ფორმები. გაერთიანებაში უკვე რამდენიმე წელია მუშაობს 14 გამსჯელებული სამეურნეოანგარშიანი ბრიგადა, სადაც სპირთ გამომუშავებისა და პრემიების განაწილება ხორციელდება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით. ამრიგად, თვით ძირეული საწარმოო რგოლები უღობავენ გზას წუნსა და თავმოუბმელობას, დაინტერესებული არიან შრომის ნაყოფიერების, მისი ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესებით. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ დაჩქარებული წინსვლის, წარმოების ძირეული გარდაქმნის საფუძველია ადამიანი.

გაერთიანების გენერალურ დირექტორთან დ. ს. დათოშვილთან, პარტბიუროს მდივანთან მ. ლ. ხარაძესთან, ოპერატორ-გამმართველთან ნ. გ. მოშლილთან, ბრიგადირ ი. გ. რატიანთან, გაერთიანების სხვა მუშებთან საუბრისას ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ადგილი ერთ-ერთია, სადაც ტარასას გზები კვეთენ, შარაგზის გზაჯვარედინებზე დადგმულია გამაფრთხილებელი ნიშნები, ფარების გადაადგილების გზაზე ტრანსპორტის მოძრაობას აკონტროლებენ სახელმწიფო ავტონესპექციის მუშაკები.

— ბრიგადათა უმრავლესობამ უკვე დაბანა და გაპარსა ცხვარი. საძოვრები პირველებმა დატოვეს წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონების ფარეებმა, — თქვა რესპუბლიკის სახალხო რეწვის შირაქის ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსმა ამირან ხოფერიამ, — საჭიროების შემთხვევაში ჩვენი მუშაკები მზად არიან დახმარება გაუწიონ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა სამსახურებს. ისინი მწყემსს გზაში დაეხმარებიან, მაგალითად, მედიკამენტებით, ფურსათით, — მარაგი გვაქვს. ამოცანა ის არის, რომ უდანაკარგოდ და სწრაფად გადავრეკოთ ცხვარი, გვლაგების დაწყებამდე მივაღწიოთ თრიალეთის მდელოებს. ახლა იქ განსაკუთრებით უხვად არის ბალახი.

ვ. ბაბუაძე,
საქინფორმის კორ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

არმიის გენერლის დ. ტ. იაზოვის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს არმიის გენერალი დმიტრი ტიმოთეს ძე **იაზოვი** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 მაისი.

ახალგაზრდობის დამრიგებლები

ასეა დასათაურებული 1987 წლის 1 ივნისის „პრავდის“ მეთაური სტატია. გაზაფხულის მიწურული, ზაფხულის დამდეგი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებით ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაკომპლექტების პერიოდია, ნათქვამია სტატიაში. იმაზე, თუ როგორ შეხვდება კოლექტივი ახალგზდას, ვინ გახდება მისი პირველი დამრიგებელი სპეციალობის სრულყოფილად ათვისებისათვის, ბევრად არის დამოკიდებული ახალგაზრდა მუშის ბედ-იღბალი.

PRAVDA

მუშა მასწავლებელს უწოდებენ იმას, ვინც ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით კისრულობს საწარმოში ახალმოსულის ნამდვილ მუშად ჩამოყალიბებას, უნერგავს მას მინდობილი საქმისათვის დიდ პასუხისმგებლობას, სიამაყეს მუშის პროფესიის გამო.

იმ დამრიგებელთა შორის, რომლებიც სულსა და გულს აქსოვენ მუშათა კლასის ღირსეულ წარმომადგენლობად ახალგაზრდების აღზრდას დასაზელებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ო. ლომძე.



რამდენიმე დღე-ღამის მანძილზე, თანაც აღარ გაუუმჯობესდება ბალანჩიგაძისა და კომკავშირის ქუჩები.

რუსთავთან ახალი შემოსავლელი გზის უბნის მოწყობით პრაქტიკულად დასრულდა ცხვრის გადასარეკი 400-კილომეტრიანი შიდარესპუბლიკური ტრასის მომზადება. აქ შესრულდა კულტტექნიკური სამუშაოები, ნათესების ცალკეულ გზისპირა მონაკვეთებზე შეაკეთეს ღობეები, მოაწყვეს ვეტერინარული პუნქტები, აგრეთვე დასასვენებელი მოედნები. იმ ადგილებში, სადაც ტრასას გზები კვეთენ, შარაგზის გზაჯვარედინებზე დადგმულია გამაფრთხილებელი ნიშნები, ფარების გადაადგილების გზაზე ტრანსპორტის მოძრაობას აკონტროლებენ სახელმწიფო ავტონესპექციის მუშაკები.

— ბრიგადათა უმრავლესობამ უკვე დაბანა და გაპარსა ცხვარი. საძოვრები პირველებმა დატოვეს წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონების ფარეებმა, — თქვა რესპუბლიკის სახალხო რეწვის შირაქის ზ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ყოველთვის ზუსტ, პრინციპულ პოზიციას როდი ადგანან პარტიული ორგანიზაციები. პასიურად იქცევა ბევრი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, შემოქმედებითი კავშირი. შენელდა ანტიალკოჰოლური პროპაგანდის აქტიურობა, რომელსაც ეწევიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში აქტიურ შეტევითს პოზიციას არ დასდგომიან სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები და სპეციალისტები. ჯერ კიდევ სუსტად ავლენენ თავს სიფიზიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები.

საგრძნობი გარდატეხა არ მომხდარა მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა საქმიანობაში, რომლის მიზანია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, კულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განმტკიცება და გაფართოება, მისი ყაირათიანი გამოყენება. მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდების, დასვენების ორგანიზაცია ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო პრობლემაა.

ჭეროვანი ყურადღება არ ეთმობა ნარკოლოგიური სამსახურების მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და მათი მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერებას. დაბალია ექიმ ნარკოლოგთა კვალიფიკაციის დონე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ 1987 წლის პირველ კვარტალში წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა ყურძნის ღვინისა და ნიკიკის ნაწარმის დამზადება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის საწარმოებში. ადგილობრივი ორგანოების წაყრუებით ამ ბოლო დროს მთელ რიგ რეგიონებში, განსაკუთრებით მოლდავეთში, თთორეთის, უდმურტეთისა და კომის ასსრ რესპუბლიკებში, აღტაის მხარეში, ბელგოროდის, ვინიცის, კიევის, კურსკის, ლიპეცკის, სმოლენსკის, სუმის, ტოუმენის, ჩერნოვიცის, ჩერკასის ოლქებში იზრდება არყის შინ გამოხდა, რისთვისაც ყიდულობენ დიდძალ შაქარს. ეს ძრის უთხრის ლოთობის დაძლევისათვის მუშაობას, იწვევს უდიდეს ეკონომიკურ ზარალსა და ზნეობრივ ზიანს.

ლოთობის, ალკოჰოლიზმის, სპირტიანი სასმელების სპეკულაციის, და, უწინარეს ყოვლისა, არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯეროვან აქტიურობას არ იჩენენ სამართალდაცვითი ორგანოები. მცირეა ამ საქმეში მილიციის უბნის ინსპექტორების, სახალხო რაზმელების, საზოგადოებრიობის როლი.

შექმნილი ვითარება მოითხოვს სერიოზულ, გადაუდებელ ღონისძიებებს, თვითდამშვიდების განწყობილების, აგრეთვე ფეხმოკიდებული ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელეებისა და სირთულეების წინაშე დაბნეულობის გამოვლინებათა დაძლევას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს გააქტიურონ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრა, მიანიჭონ მას ახალი იმპულსი, სისტემატურობა და ქმედითობა, აიყვანონ იგი თვისებრივად ახალ დონეზე. მთელი მეცადინეობა მოახმარონ გულმოდგინე ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს, პროფილაქტიკურ მუშაობას, ადამიანთა შეგნებისა და ფსიქოლოგიის გარდაქმნას, მათი შინაგანი კულტურის ამაღლებას, ოჯახში, ყოფისა და ცხოვრების სფეროში ურთიერთობის გაჯანსაღებას. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს ნარკომანიის, თამბაქოს წევის აღმოფხვრასთან კომპლექსით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ადამიანებზე იდეურ-ზნეობრივი ზემოქმედების ყველა ფორმა, ფხიზელი ცხოვრების წესის კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობა.

ამ მუშაობას რომ ვეწევით, უნდა ვეყრდნობოდეთ სოციალიზმის მორალურ ღირებულებებს, საზოგადოებრივი აზრის ძალას, ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ აქ წარმატებას გადაწყვეტს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმიანი, ულმობელი, ტაშმარიტად რევოლუციური ომი ბოროტების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ, მასების აღზრდა კონკრეტული მაგალითებით. წარმოებაში, საზოგადოებრივ ადგილებში ლოთობის შემთხვევების მტკიცედ აღკვეთისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლოთობამ გადაინაცვლა უმთავრესად ყოფა-ცხოვრების სფეროში — ოჯახში, საერთო საცხოვრებლებში. უკომპრომისოდ უნდა ვებრძოლოთ უპუტურობის, ყოფაცხოვრებასა და სტუმართმოყვარეობის ფორმებში ყოველგვარ ზედმეტობას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ყოველგვარი დარღვევა შეუთავსებელია პარტიის რიგებში, მით უმეტეს კი ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არჩევითს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებში, აგრეთვე მოზარდი თაობის განაღლებასა და აღზრდასთან დაკავშირებულ სამუშაოზე ყოფნასთან.

ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდებს ჩამოვუყალიბოთ მტკიცე ანტიალკოჰოლური მრწამსი, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ბავშვები და მოზარდები დავიცვათ ალკოჰოლის დამლუპველი გავლენისაგან, გავაერთიანოთ საამისოდ ოჯახის, სკოლის, საზოგადოებრიობის შესაძლებლობანი. ამ მუშაობაში ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებლებმა, ექიმებმა, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივისტებმა, უფრო საგობრივად უნდა მოვეკიდოთ არეულ ოჯახებს, „ძნელ“ მოზარდებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყურადღება მიაპყრო ზოზინსა და უინიციატივობას მოსწავლეთა ანტიალკოჰოლური განათლების სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში. საჭიროდ არის მიჩნეული ახალგაზრდობის, და, უწინარეს ყოვლისა, მოზარდების დასვენების გაუმჯობესებისათვის გავაფართოოთ მოყვარულთა გაერთიანებების, კლუბების ქსელი, დავაჩქაროთ საცხოვრებელ მიკრორაიონებში სპორტულ-კულტურული კომპლექსების შექმნა, თანაც საამისოდ გამოვიყენოთ იმ შესაბამის საწარმოთა და გაერთიანებათა სახსრები, რომელთა მუშაკები აღნიშნულ მიკრორაიონებში ცხოვრობენ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინიტრომ, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, სამშენებლო სამინისტროებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა ვერ უზრუნველყვეს კლუბების, კულტურის სახლების, სპორტული ნაგებობების მშენებლობის 1986 წლის გეგმების შესრულება. კულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განვითარებასთან ერთად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და სპორტული ნაგებობანი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალათ განსორციელონ ნარკოლოგიური სამსახურის ბაზის არსებითი განმტკიცებისა და მუშაობის ეფექტიანობის ზრდის, კვალიფიკაციური კადრებით მისი გაძლიერების ღონისძიებანი.

სამართალდაცვითს ორგანოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ არყის შინ გამოხდის აღკვეთის ეფექტიანი ღონისძიებანი. მკაცრად აგებინონ პასუხი იმათ, ვინც ანაივებს შაქრის სახელმწიფო რესურსებს, არადანშნულებისამებრ იყენებს მას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, ცენტროსოიუზმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც საკაჭრო ქსელი აქვთ, უნდა უზრუნველყონ ღვინისა და არყის ნაწარმის ვაჭრობის დადგენილი წესის მკაცრი დაცვა. ადგილობრივ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გააუქმონ ტალონებით, სიებით, შეკვეთებით სპირტიანი სასმელების ვაჭრობა, ვინაიდან ეს იგი ეწინააღმდეგება თავად ლოთობის აღმოფხვრისათვის ბრძოლის იდეას, სახელს უტეხს მას.

საჭიროდ არის მიჩნეული ძირფესვიანად გავაუქმოთ სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოო შესაძლებლობანი, სანედლეულო რესურსები, რათა გამოვუშვათ მოსახლეობისათვის საჭირო მეტი მაღალხარისხოვანი საქონელი და გავაზარდოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ეფექტიანობა, შევასრულოთ საქონელბრუნვის გეგმა.

ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ მიზანმიმართული მუშაობა არ წარმოებს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის შემცირების შედეგად საქონელბრუნვაში დანაკარგების ანაზღაურებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მოსთხოვა განახორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი, რათა შექმნან მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი ფასიანი მომსახურების სფერო, რომელიც მოიცავს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, დასვენებას, ტურიზმს, ჯანმრთელობის დაცვას, გაიფართოოს სპეციალიზებული სამსახურების ქსელი, ჩაბან მომსახურებაში ყველა საწარმო უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. სოფლად ყოველ დასახლებულ პუნქტში კულტურენოგებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალებით მოაგვარონ, რომ მოსახლეობას მომსახურება ეწიოდეს ბინების შეკეთების, საკარმიდამო ნაკვეთების მოხვნის, შეშის დახერხვის, სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის საქმეში.

აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სერიოზული ჩამორჩენა დაუშვეს ყურძნის რაციონალური კამაყენებისა და ალკოჰოლური წარმოებების პროფილის შეცვლისათვის მუშაობის ორგანიზაციაში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ყველა ღონისძიება იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ 1987 წლის ყურძნის მოსავალი საკვები მიზნებით. არ დაუშვან ვენახების ფხრეთობის შემცირება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა დაიჩქარონ იმ საწარმოთა ხელახალი აღჭურვა, რომლებმაც შეწყვიტეს ალკოჰოლიანი სასმელების გამოშვება ამ მიზნით, რომ გამოუშვან საკვები პროდუქცია, რომელზეც არის მოსახლეობის მოთხოვნა. უფრო ფართოდ ჩაებან ამ საქმეში ყველა სამინისტროსა და უწყების მანქანათსაშენებელი ქარხნები.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა შეიუწყონ ხელი სიფიზიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის მოგვარებას, ამასთან მათი საქმიანობა მოახმარონ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას, დამაჯერებელი, დასაბუთებული ანტიალკოჰოლური პროპაგანდის გაშლას, იმ გავრცელებული აზრის გაბათილებას, თითქოს ღვინის ზომიერი, ეგრეთ წოდებული „კულტურული“ სმა მავნებელი არ იყოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა დაიჩქაროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისა და დაძლევის საერთო საკავშირო კომპლექსური პროგრამის მიღება და უზრუნველყოს მისი თანამიმდევრული რეალიზაცია.

პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, გაზეთების რედაქციებს, რადიო-ტელევიზიას, შემოქმედებითს კავშირებს წინადადება მიეცათ განიხილონ საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჯანსაღი ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებას, განახორციელონ ამ მუშაობის მნიშვნელოვანი გაძლიერების ენერგიული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევა პარტიას მიაჩნია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალურ ამოცანად, გარდაქმნის, იმ მავნალპლანიანი მუშაობის შემადგენელი ნაწილად, რომელიც წარმოებს იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ატმოსფერო გაიწმინდოს ყოველივე იმისაგან, რაც უცხოა სოციალისტური წყობილებისათვის. ამ თვალსაზრისით არ უნდა დაეშვნენ არაერთი ადგილი და ძალისხმევის შესუსტება. სიფხიზლის, როგორც ჩვენი ცხოვრების ნორმის, დამკვიდრების კეთილშობილური საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის შემდგომი გაძლიერების საჭიროებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „არყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ბრძანებულებით დადგენილია, რომ შინნახადი არყისა და სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გასაღების მიზნის გარეშე დამზადებას ან შენახვას, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადებას ან შენახვას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი ასიდან სამას მანეთამდე ჯარიმის სახით. ადმინისტრაციულ ჯარიმას დაადებენ შინაგან საქმეთა ორგანოები (მილიცია).

იმავე მოქმედებას, რომელიც განმეორებით მოხდება ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ წლის განმავლობაში, მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ორასიდან ხუთას მანეთამდე ჯარიმით.

ძალაში რჩება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გასაღების მიზნით დამზადებისა ან შენახვის და ასეთი სასმელების გასაღებისათვის, აგრეთვე გასაღების მიზნით გამოსახდელი აპარატების დამზადების ან შენახვისათვის და მათი გასაღებისათვის.

ბრძანებულება მთლიანად ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

თბილისის № 140 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი თავისი საბაზო ორგანიზაციის, ქარხანა „ჭირნახლისათვის“ ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

1980 წლიდან დღემდე სასწავლებელმა გამოუშვა 1500-ზე მეტი მიკროსქემების ამწყობი, მიკროსქემების შემდუღებელი, რადიო-ელექტროაპარატურის მემონტაჟე, ტექნოლოგიური მოწყობილობის გამმართველი, გამოსაცდელი მოწყობილობის გამმართველი და პროგრამული მართვის ფართო პროფილის მეჩარხე.

სურათებზე: საწარმოო სწავლების წარჩინებული, კომკავშირელი იური ზბარუევსკი ელექტროტექნიკის ლაბორატორიაში; მომავალი რადიოაპარატურის მემონტაჟეები, საწარმოო სწავლების მოწინავენი.

ბ. დვალიშვილის ფოტო.

განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტში გაიმართა შეხვედრა გამოცდილ პარტიულ მუშაკებთან, იდეოლოგიურ აქტივთან, რომელთაც იმსჯელეს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის დანერგვის ძირითად მიმართულებებზე. საუბარი მრგვალი მაგიდის პრინციპით წარმართა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

მოკამათეებმა მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით განსაზღვრული სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი, მაგრამ ამასთან ბჭობის პროცესში ბევრი საყურადღებო მოსაზრება, წინადადება, შენიშვნა გამოთქვეს ამ დოკუმენტის შემდგომი სრულყოფის მიზნით. გავაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ი. ბურბულაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი: კარგია, რომ მასობრივი ეკონომიური სწავლება მჭიდროდ დაუკავშირდება პროფესიულს და შევა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში.

კადრების მომზადებასა და გადამზადებაში მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ლექტორთა შემადგენლობას, სწავლების ხარისხს. ამ მხრივ მართებულია პროექტში ჩამოყალიბებული ის აზრი, რომ პარტიულ კომიტეტებს მიეცეთ უფლება პლიტიკური განათლების სახლის მუშაკები, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი აქვთ და ნიადაგ ეწევიან სასწავლო-მეთოდიკურ მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, წარადგინონ დოკენტის, პროფესორის წოდების მისანიჭებლად. თანაც უკეთესი იქნება წარადგინონ არა მარტო ისინი, არამედ ის მუშაკებიც, რომლებიც იდეურ-აღმზრდელობითს სფეროში არიან დასაქმებული და სისტემატურად კითხულობენ ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში.

სასურველია შეიცვალოს პროექტში გატარებული აზრი, რომ სოფლად სასწავლო წელი მიმდინარეობდეს 1 ნოემბრიდან 15 აპრილამდე. ასეთი რეგლამენტირება ულოგიკოა და მას თვით ცხოვრება უკუაგდებს. უფრო პრაქტიკული იქნებოდა, რეგიონებს მიეცეთ უფლება, გეოგრაფიული პირობებისა და სხვა სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რეგლამენტს საერთო ჩარჩოებდან გამომდინარე, თავად განსაზღვრონ სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების დრო.

ნ. ტოუძაუა — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განყოფილების გამგე, პროპაგანდისტი: პროექტში განსაზღვრული ეკონომიკური განათლების სისტემა დაზღვეული არ არის ნაკლისაგან, რომელიც დღემდე არსებულს ახასიათებდა. მასობრივ-საწარმოო პროპაგანდაში შეტანილია მრავალი ფორმა. საჭიროა ფორმების რაოდენობის შემცირება, ოღრემ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას სხვადასხვა შინაარსის მრავალი ფორმის მართვა გაუჭირდება.

ვფიქრობ, აუცილებელია, რომ პროპაგანდისტი განთავისუფლდეს ყველა სხვა საზოგადოებრივი დავალებისაგან. ამასთანავე ყველა ხელმძღვანელი უნდა იყოს პროპაგანდისტი. მუშაკი, რომელსაც არ შეუძლია ნათლად და გასაგებად ესაუბროს კოლექტივს ეკონომიკის, პოლიტიკის, აღზრდის საკითხებზე, ხელმძღვანელად ვერ გამოდგება.

თ. ქოგულაძე — პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე: სასწავლო კურსები უნდა შეიქმნას სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით. ამასთან უმჯობესი იქნებოდა სახელმძღვანელოები გამოგვეცა დიფერენცირებულად, მაგალითად, სამედიცინო დარგის მუშაკებისათვის ცალკე, სხვა დარგების მუშაკთათვის — ცალკე და ა. შ. უნდა განისაზღვროს სწავლებაში ოჯახური ბრიგადის წევრების ჩაბმის შესაბამისი ფორმაც. ჩემი აზრით, პოლიტიკური სწავლების სისტემაში რეკომენდებული კურსი „საბჭოთა ეკონომიკა, ახალი თვისებრივი ზრდა“ ეკონომიკური განათლების სისტემას უფრო შეეფერება. ამასთან ეკონომიკური სწავლებისათვის რეკომენდებული კურსები უნდა მოიცავდეს პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიკური თეორიის საკითხებსაც.

ვ. ხუციძე — ჭ. ბათუმის ხაზღვაო ნავსადგურის პარტიული კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის კონსულტანტი: უნდა დაიბეჭდოს პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკა, პროპაგანდის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ ლიტერატურის გამოცემისათვის მუშაობა. ყოველ სახელმძღვანელოში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპეტენტურად შედგენილი ლოგიკური სქემები, პრობლემური სიტუაციების, პრაქტიკული დავალებების თემატიკა. ეს გაიოლებს პროპაგანდისტების შრომას, ხელს შეუწყობს სწავლების აქტიური ფორმების დანერგვას.

ს. ბუხუტაშვილი — ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი: მიზანშეწონილად მიმაჩნია პოლიტიკური განათლების სისტემაში ისწავლებოდეს სკკპ ისტორია, ქვეყნის მასშტაბით დაინერგოს დამსახურებული პროპაგანდისტის წოდების მინიჭების პრაქტიკა.

შემოქმედებითი ძიება გრძელდება

დ. თუმანიძე — პარტიის ჭალის რაიკომის მდივანი: კარგია, რომ მომავალში ბოლო მოეღება ყურსის უპროგრამოდ და უსახელმძღვანელოდ შესწავლის მცდარ პრაქტიკას. ამასთან ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს ახლანდელი პროგრამები და სახელმძღვანელოები.

დასამალი როდია, რომ პროპაგანდისტები შემოქმედებითად ვერ ფლობენ პრაქტიკული დავალების, კონკრეტული სიტუაციების ანალიზის, საქმიანი თამაშების გამოყენების მეთოდს, პრობლემურ სიტუაციებს და ა. შ. ერთი სიტყვით, კარგი პროპაგანდისტი დღესაც პრობლემაა და მისი აღზრდა-დაოსტატება საშური საქმეა. საჭიროა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში შეტი ყურადღება დაეთმოს მეცადინეობის აქტიური ფორმების გამოყენების მეთოდიკის სწავლებას.

მ. პინუსი — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე: აუცილებელია წინასწარ მტკიცედ განისაზღვროს სწავლების დღეები ქალაქის, რაიონის მასშტაბით, რადგან ხელმძღვანელთა უდიდესი უმრავლესობა პროპაგანდისტია და მათი გამოძახება საქალაქო, რაიონულ თათბირს თუ სხვა ღონისძიებებზე მეცადინეობის ხშირ გადადებას ან, უკეთეს შემთხვევაში, სათადარიგო პროპაგანდისტის ნაუცბათევ მომზადებას იწვევს.

ნ. ხაბაძე — საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე: პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა სასურველია ორგანულად დაუკავშირდეს პარტიული აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებებს. პროპაგანდის ერთიანი ცენტრის შექმნა მოითხოვს არა მარტო პოლიტიკური განათლების სახლის და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის, არამედ ლექტორთა ჯგუფების გაერთიანებას. ამასთან, ჩემი აზრით, პროექტი დაზღვეული არ არის გამეორებისაგან. მასში, მაგალითად, პოლიტგანთლების სახლებისა და კაბინეტების ფუნქციები რამდენიმეჯერ მეორდება.

ნ. ფალავანდიშვილი — პარტიის აპარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლის კონსულტანტი: პროექტის მიზდევით საწარმოო-ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციისათვის შესაბამის ორგანოებს ეევალებათ გამოიყენონ კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი სახსრები, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეოანგარიშებრივი ფონდები, მაგრამ არაფერია ნათქვამი პოლიტიკური სწავლების სისტემისათვის ამ სახსრების გამოყენების შესახებ.

შ. თუთარაშიძე — პარტიის აპარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლის გამგე: მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისა და პროპაგანდის მაგალითს უნდა უჩვენებდნენ ხელმძღვანელები. ისინი უნდა მუშაობდნენ პროპაგანდისტებად.

პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს პარტიულ დოკუმენტების მიხედვით წინათაც და ამჟამადაც ზხოლოდ სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობა ეკისრებოდათ, მაგრამ სინამდვილეში ისინი არა მარტო მეთოდიკურ, არამედ ორგანიზატორულ ფუნქციასაც ასრულებდნენ. ახ გავაუხარცილეთ ეს ბოლოხანები, ანდა, თუ ეს პრაქტიკულად არ ხერხდება, შესაბამის პარტიულ დოკუმენტებშიც ამსახოს ფაქტობრივად პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების არა მარტო მეთოდიკური, არამედ ორგანიზატორული ფუნქცია.

ალსანიშვილი, რომ საუბარი ცოცხლად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. მისი მონაწილეები მეტწილად იზიარებდნენ ბამოსული ამხანაგების შეხედულებებს. მაგრამ იყო სადავო, საკითხებიც, რომლებიც ერთობლივად წყდებოდა. ს

მუდამ ერთმანეთის გვერდით

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჯირხა არ დამრიდად, გული მისცეს გულსათვის, სიყვარული ჯზად და ხიდად.
ზოთა რუსთაველი.

ცხრაკლიტულიანი ციხესიმაგრე

ბინდდებოდა, როცა სვანეთის სოფელ ქამუშს მივაღწიეთ. ჩამავალი მზის სხივებში გახვეულს, დათოვლილი მთების ფონზე, გამქვირვალე ნისლი ადგა და ირარეალური, ზღაპრული სოფელს მოგაგონებდათ. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა სოფლის ცენტრში აღმართული მომაჯადოებელი ძველი კოშკი. ვინ იცის, რამდენი ქარტეხილი და უბედურება გამოუვლია მის სიძველისაგან დანაოჭებულ გრანიტის კედლებს....

ბავჩი ნავერიანის ოჯახი გულითადად დაგიგებდა, მალე კოცონი დაინთო და ჩვენ ბავჩის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების მეგობრულ გარემოცვაში აღმოვჩენდით: ცოლი მედიკო, რვა შვილი და შვილიშვილი...

ვმსჯელობდით. არ მახსოვს, რის გამო, თქვა მასპინძელმა:

— პაპაჩემი გოჩა სულ გაიძახოდა: ადამიანის სული ცხრაკლიტულიანი ციხესიმაგრეაო, — აქ მან მრავალმნიშვნელოვნად ახედა კოშკს. — და იგი იხსნება უბედურებისა და მძიმე განსაცდელის ჟამს...

მაშინ მნიშვნელობა არ მიმინიჭებია ამ სიტყვებისათვის. რა ვიცოდი, რომ ჯავა ცოტა ხანი, და თვალნათლივ დავრწმუნდებოდი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში...

საქართველოს მთა-ველის სტიქიამ თავს დაატეხა კოკისპირული წვიმა და ზვავები, რომლებმაც უბედურება და მწუხარება მოიტანა. არაერთი კაცი იმსხვერპლა. განსაკუთრებით გაუჭირდათ სვანებს, ფუშელებს, აგრეთვე კოლხეთის დაბლობის მცხოვრებთ. იმ დღეებში მომიწია ამ ადგილებში, ყოფნამ, და მაშინ გამახსენდა ქოცონთან თქმული ის სიტყვები.

ღია გულები

საქართველოზე თავს დატეხილმა უბედურებამ თითქოსდა მთელი ქვეყნის ამაღლებული სული წარმოაჩინა. ადამიანები მთელი სულით და გულით გამოეხმაურნენ მთის მცხოვრებთა გაჭირვებას.

დიახ, სიკეთეს, სოლიდარობას, პატივისცემას თვით ჩვენი ცხოვრება ბადებს. განსაკუთრებულ პირველსავე დღეებში პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა რესპუბლიკას მომხდარის გამო და შეეშველა მთავრობის კომისია სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების გასაწევად. ადამიანის გულუხვობას მოწმობს ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოსული ათასობით სამადლობელი დეპეშა და წერილი, ფულადი გადარიცხვები და ამანათები. ნოვოსიბირსკელ ელექტრომექანიკოსთა ბრიგადის ხელმძღვანელმა იური რუბცოვმა გამოგზავნა დეპეშა: „ჩვენ და ჩემი ამხანაგები მზად ვართ დაუყოვნებლივ გამოვემგზავროთ საქართველოს სტიქიისაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად“. ასეთივე სურვილი გამოთქვა უკრაინის ქალაქ ჩერკასის მცხოვრებმა ლეონიდე ხეშჩენკომ. კუბიშევის ოლქის ქალაქ ჩაპაევსკიდან დაზარალებულთ გამოეხმაურა ა. ბულატოვი, ხელმარჯვე ოსტატი — შემდუღებელი, მძღოლი, ზეინკალი, მეაირე. იგი მზად არის „უანგაროდ მოახმაროს მთელი თავისი უნარი სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დაზარალებულ ობიექტს“. „ვცხოვრობთ ოთხოთასიან ბინაში. მზად ვართ მივიღოთ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები“, — ასეთი დეპეშა გამოგზავნა კრასნოიარსკიდან იუბჩიკის ოჯახმა.

სიკეთე, ეტყობა, ყმაწვილობიდანვე დედის რძესთან ერთად შეეუსისხლხორცებიათ ჩვენს ბავშვებსაც. აი, რას სწერს ერევნელი პირველკლასელი თავის ქართველ თანატოლს: „ჩამოდი, მეგობარო. გიხვეწები, ჩამოდი ჩემთან. მე ჩემს წოვილ ბურთსა და ფერად ფანქრებს გაჩუქებ“.

„ერთადერთი, რაც მინდა...“

ეს იყო ორმოცი წლის წინათ. ახალგაზრდა პოეტი ალექსანდრე მეყიროვი რუსული პოეზიის დიდ რსტატებთან ს. ტიხონოვთან, ნ. ზაბოლოცკისთან, პ. ანტოკოლსკისთან ერთად პირველად ჩამოვიდა მოსკოვიდან თბილისში. მათს მოვლინების ფურცელში ასეთი ეწერა: „საქართველოს ახალი სამრეწველო ობიექტების გასაცნობად“.

აქ ახალგაზრდა პოეტს დახვდა შესანიშნავი ქართველი მწერლების გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის, ალრო ჯალაძისა და ალექსი გომიაშვილის სითბო, სიყვარე და გულთბილობა. და სწორედ მაშინ გაჩნდა მისი პირველი თარგმანები.

— საქართველო, როგორც იტყვიან, ერთის ნახვით შემიყვარდა, და ეს სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე მომყვება, — იგონებს პოეტი.

ძნელია თქმა, რამდენი მეგობრული პოეტური და პროზაული სტრიქონი მიუძღვნა მან საქართველოს, რამდენი სული ჩაექსოვა იმას, რომ ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსები რუსულ ენაზე ჟღერებულიყო.

ახლახან რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტთან საუბარში ალექსანდრე მეყიროვმა თქვა:

— ორმოცე წელიწადს ჩემი მეგობრები იყვნენ ქართული მუზების ჭეშმარიტი რჩეულნი. ოთხი ათეული წელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ადასტურებდნენ ერთგულ მეგობრობას ჩემდამი, არ მტოვებდნენ ჭირში, და თუ სიხარული მეწვეოდა ხოლმე, მთელი სულით და გულით ხარობდნენ.

დიახ, დიდად გაახარა საქართველო. ცნობამ, რომ მას, შესანიშნავ რუს პოეტს, ამიერიდან საქართველოსათვის ყველზე ძვირფასი სახელობის, „ოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

— ძნელია გამოხატო მადლიერების გრძნობა, — ამბობს პოეტი. — ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ პრემია გადავცე სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ჩემს ძმებს...

და პოეტის ეს კეთილშობილური ქესტი თითქოს ეხმიანება სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს წერილში გამოხატულ აზრებსა და გრძნობებს: „ძვირფასო ქართველო ძმებო, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ულიდესი გულისტკივილით შევიტყვეთ სტიქიური უბედურების ამბავი, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს. ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ მომქმე რესპუბლიკების მრავალი წარმომადგენელი მზად ჰრის მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიოს დაზარალებულთა ოჯახებს, მისცეს ჭერი და ყოველნაირად დაეხმაროს, გულის სითბო უწილადოს. გვინდა გაცნობოთ, ძვირფასო ძმებო, რომ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მხურვალედ და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქართული ლიტერატურის საბჭოს ინიციატივას და გადაწყვიტა სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხოს სსრკ მწერალთა კავშირის წვლილი — მილიონი მანეთი“.

ჩვენ ახლა შემოვდივართ ცხოვრებაში

და აი, დიდი ხნის ნანატრმა სიხარულმა დაისადგურა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის—თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ჭარხნის ინჟინრის თამაზ ქვლივიძისა და მისი ცოლის, ეკრძ თინა მღებრიშვილის ოჯახში. მათმა პირმშომ — მავთულთან ვაზის დასამაგრებელი პლასტმასის რგოლ-მოსაჭერების ერთობლივმა გამოგონებამ მიიღო ცხოვრების საგზური. ამრიგად მთ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქეს შრომა მეევნახეებს. აქამდი ხომ ვაზის აკვა უხდებოდათ სიმინდის ფოჩის ფოთლებით, ჩვრით, კანაფით, და ამ ერთგვაროვან შრომას საათები უნდებოდა. სიახლემ რესპუბლიკის მეევნახეობის მეურნეობას დიდი ეკონომია მისცა. ახალგაზრდებმაც მიიღეს პრემია — 20 ათასი.

იმ საღამოს დიდხანს მსჯელობდნენ, როგორი აეკეჯი, საოჯახო ნივთები ეყიდათ, ის კი არა და, „ეიგულის“ შეძენაც შეიძლებოდა. მაგრამ აი მოვიდა გულისშემძვრელი ცნობა ჩერნობილის ტრაგედიის შესახებ. „მოდი მთელი ფული კატასტროფით დაზარალებულებს გავუგზავნოთ“, — გადაწყვიტეს მათ.

და როცა პარტიის კიევის საოლქო კომიტეტმა, საოლქო საბჭოს აღმასკომმა, პროფკავშირის საოლქო საბჭომ, კომკავშირის საოლქო კომიტეტმა წერილით მადლობა გადაუხადეს თბილისელებს დიდი შეგნებისათვის, შემწეობისა და ერთიანი ოჯახის გრძნობისათვის, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰყავდათ ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც. როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რამ მიგიღებინათ ასეთი გადაწყვეტილებაო, მათ უპასუხეს:

ჩვენ კი არ მივდივართ, ახლა შემოვდივართ ცხოვრებაში. ყველაფერი წინა გვაქვს. გვეძნება სხვა გამოგონებიც...

თვით ცხოვრება უჩვენებს ადამიანებს არაერთ სიკეთის მაგალითს. განა გულის სიღრმემდე არ შესძრა საქართველოს მცხოვრებნი იმან, რომ სტიქიური უბედურების ძნელ დღეებში ჩერნობილელებმა, რომლებიც თვითონ განიცდიდნენ სიძნელეებს, დახმარების ხელი გაუწოდეს. სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, უგზავნიდნენ დანაზოგებს.

განა საგულისხმო არ არის, რომ ივანო-ფრანკოვსკის ოლქში გახიზნულმა ლ. რუდენიუკმა თავისი დახმარებიდან ფული გადაუგზავნა საქართველოს... და ასეთი ფაქტი ბევრია.

ვალს გადახდა უნდა

ბაზაზხულის მშვიდი დღე იდგა. თითქოს არაფერი იყო უბედურების მომასწავებელი. და უცებ დედამიწა შეირყა. ყრუ გუგუნმა გადაიარა, გაისმა ჩამოგრეული კედლების გრუხუნი, ჩამსხვრეული მინების წკარუნი... ადამიანები ყვიროდნენ.

— მიწისძვრაა, მიწისძვრა!

მთელი ბოგდანოვკის რაიონი სტიქიის მარწუხებში მოექცა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეექმნა სომხურ სოფელ თორიას, რომელიც ეპიცენტრში აღმოჩნდა. თითქმის ყველა შენობა დაზიანდა, ხოლო კოლმეურნეობის მძღოლის ნახაპეტ მკრტჩიანის სახლის ნანგრევებში დაიღუპა სამი წლის შვილი ვერონიკი.

ჟურნალიტურმა მოვალეობამ გზას გამაყენა. კატასტროფის ადგილისკენ (რომ მივემართოდი, მეგონა, პირველი ვიყავი. მაგრამ თბილის-ბოგდანოვკის ტრასა ზე რომ გავედი, მანქანების ნაკადს ბოლო არ უჩანდა. საშველად მიიჭარბოდნენ მუშები, მშენებლები, მედიცინის მუშაკები, აქეთკენვე გამომემართნენ საშენი მასალებითა და მიწასათხრელი ტექნიკით, კარვებითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული მანქანები. საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი დახმარების ხელს უწვდიდნენ დაზარალებულთ. მრავალი ახალჩამოსული მიიჩქაროდა მკრტჩიანებისაკენ, რათა ეთანაგრძნოთ მწუხარებაში. მათ შორის იყვნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მრავალეროვანი კოლექტივის წარმომადგენლებიც.

ბავიდა ცოტა ხანი, და საერთო ძალისხმევით სოფელი ადადგინეს, იგი თითქოს უფრო კეთილმოწყობილიც კი ჩანდა. განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებოდა მკრტჩიანის ორსართულიანი სახლი. იგი სპეციალური სახსრებით აეგვა დიმიტროველმა მუშებმა.

ახალმოსახლეობის დღეს თორიაში ავიამშენებელთა წარგზავნილები ჩამოვიდნენ.

— დიდი მადლობა ყველას თანაგრძნობისა და ძმური დახმარებისათვის, — ეუბნებოდა მათ აღელვებული დიასახლისი. მერე იგი მიუახლოდა მშენებელთა ბრიგადირს გ. ჭურასბედიანს და გადასცა შავბარხოიანი ქალიშვილის პორტრეტი.

— გთხოვ, პირველმა გადააბიჯო ახალი სახლის ზღურბლს დაუვიწყარ ვერონიკათან ერთად, უჩვენე მას შენი კეთილი ხელების საქმენი...

ეს იყო შარშან, წლეულს თებერვალში კი ბოგდანოვკელებმა საკუთარ უბედურებასავით აღიქვეს სტიქიური უბედურება, სვანეთის, ფუშეთისა და კოლხეთის ველის მცხოვრებლებს რომ დაატყდათ ოავს.

— რაიონის მშრომელებმა 100 ათასი მანეთი გადარიცხეს დაზარალებულთა დახმარების ფონდში, — თქვა პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კოჩოიანმა.

აქედან დუშეთის მეცხოველეებს სასწრაფოდ გაუგზავნეს პირუტყვის საკვებით დატვირთული 36 მანქანის კოლონა. ერთ-ერთის საჭეს უჯდა კოლმეურნეობის მძღოლი ნახაპეტ მკრტჩიანი, რომელიც მთიელების დასახმარებლად მიიჩქაროდა.

ამას წინათ კვლავ ქამუშში აღმოვჩნდი. გული მტკივდა დამანგრეველი სტიქიის შედეგების შემხედვარეს. ზვავმა პირისაგან მიწისა ალგავა სოფელი და 26 კაცი იმსხვერპლა. დაიღუპნენ ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლებიც — ბავჩი ნავერიანი და მისი ცოლი მედიკო, მათი შვილები ლეილა, ვასილი, თამილა, ვალიკო და ეატარა შვილიშვილი სპარტაკი, დაბარჩენი ოთხი ბავშვი სხვებთან ერთად ალპინისტებმა და მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმა გადაარჩინეს.

დღეს სვანური სოფლის თავისთავად, განუმეორებელ სილამაზეს მოგვაგონებს მხოლოდ კოშკი, ამაყად რომ აღმართულა ცისკენ. სტიქია უსუსური აღმოჩნდა მის წინაშე. იმ უბედურების დღეს კოშკმა შეიკეფლა და დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ქამუშელი. განა ამით მან კიდევ ერთხელ არ დაამტკიცა სვანების სიბრძნე, რომლებიც კოშკის სიმტკიცეს ადამიანის სულის სიმტკიცესთან აიგივებენ?

გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ კორ.).
„პრავდა“, 1987 წ. 31 /V.

„წარმოშობით თბილისელი“

ვარდებით შეამკეს ნაასპინძ-ვას სფლავი აშუღის დღეობის სტუმრებმა და მონაწილეებმა. ტრადიციისამებრ იგი თბილისში მაისის ბოლო კვირას გაიმართა. „წარმოშობით თბილისელი ვარ“ — ამბობდა საიათნოვა და თავის პოეტურ სახელდარს უძღვნიდა მშობლიურ ქალაქს, რომლის მცხოვრენი წმინდად ინახავენ თანამემამულის ხსოვნას, ზეპირად იციან მისი არაერთი ლექსი და სიმღერა.

31 მაისს საიათნოვას ნიჭის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ გორგასლის მოედანზე. ქალაქის ამ ძველი უბნის პეიზაჟი დაამშვენა პოეტის პორტრეტმა, რომლის დაბადების 275 წლისთავი იუნესკოს გადაწყვეტილებით ფართოდ აღინიშნება წელს. სახლების კედლებზე წერია აშუღის ნაწარმოებების ციტატები ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე. ამ ენებზე ქმნილა და ასრულებდა თავის ნაწარმოებებს საიათნოვა, ამ ენებზე ყღერდა ტრიბუნიდან დღესასწაულის მონაწილეთა გამოსვლებიც.

მიტინგი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციცეშვილმა. პოეტზე და მის შემოქმედებაზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა. სტუმრების — სომხეთის ლიტერატურულ მოღვაწეთა დელეგაციის სახელით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ჟურნალისტები, მწერლები საზღვარგარეთის სომხური კოლონიებიდან, გამოვიდა ცნობილი პროზაიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ხანზადიანი. ამიერკავკასიის მომძმე რესპუბლიკების ლიტერატურულ კავშირურთიერთობაზე ილაპარაკეს ლიტერატურათმცოდნემ, პროფესორმა ბ. არველაძემ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტმა გ. ბარამიძემ, ლიტერატურათმცოდნემ მ. მელქოიანმა და პოეტმა ლ. მირიჯანიანმა, მთარგმნელებმა მ. ბახთიარლიმ და გ. შაჰნაზარმა, პოეტმა ს. სიმავორიანმა, მწერალმა ბ. სეირანიანმა.

მიტინგის შემდეგ მოედანზე გაიმართა კონცერტი, რომელზეც აყღერდა ძველი ალმოსავლური საკრავები, შესრულდა საიათნოვას ლექსები და სიმღერები, ამიერკავკასიის ხალხთა ცეკვები.

დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ეხუქიძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე.

• • •

იმავე საღამოს თბილისის შაუმიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში გაიმართა საიათნოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

(საკინფორმი).

• • •

სურათზე: მიტინგი გორგასლის მოედანზე.
ვ. ვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოვლენის ფონ

საოპერო ხელოვნების ფესტივალი ქუთაისში

დიდი მზადებაა ქუთაისში — აქ 3-9 ივნისს გაიმართება ფესტივალი: „საოპერო ხელოვნების ოსტატები“. როგორც იცით, ამ ფესტივალს ქუთაისში შარშან ივლისში ჩაეყარა საფუძველი. მაშინ თავიანთი ხელოვნებით საზოგადოებრიობა მოხიბლეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ელენე ობრაზცოვამ, მაყვალა ქასრაშვილმა, ზურაბ სოტკილავამ და სხვებმა. „მე ბედნიერი ვარ, — წერდა მაშინ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ელენე ობრაზცოვა, — რომ ვმონაწილეობ ამ დიდებულ ფესტივალში. ქუთაისი ღირსია იყოს სამშობლო ასეთი დიდი დღესასწაულისა“...

და აი, ქუთაისს კვლავ ესტუმრებიან ვოკალური ხელოვნების დიდოსტატები: მოსკოვის დიდი თეატრის, თბილისისა და კიევის საოპერო თეატრების წამყვანი სოლისტები, დირიჟორები... ქუთაისში კვლავ იხილავენ და მოუსმენენ სსრ კავშირის სახალხო არტისტებს ელენე ობრაზცოვას, მაყვალა ქასრაშვილს, ზურაბ სოტკილავას... ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად გამოვა სახელოვანი ლიანა ისაკაძე. არის სხვა სიახლეც, კერძოდ, ფესტივალის მონაწილეები გასცლიან კონცერტებს გამართავენ ქუთაისის მეზობელ რაიონებში.

ქუთაისი მუსიკის დიდ დღესასწაულს ელოდება.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიფრინავს „კოსმოს-1848“

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1848“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (სპუტნიკი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1987-88 სასწავლო წლისათვის თბილისის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე, აგრეთვე ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, გორის, თელავის და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალებში.

ფაკულტეტები და განყოფილებები

I. პარტიულ-სამეურნეო აქტივის ფაკულტეტი

პარტიული მშენებლობის, საბჭოთა მშენებლობის განყოფილებები.

II. პროპაგანდისტული კადრების ფაკულტეტი

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის (ქართული და რუსული სექტორები), სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის აქტუალური პრობლემების განყოფილებები.

III. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფაკულტეტი

მარქსისტულ-ლენინური ეთიკისა და ესთეტიკის, მეცნიერული ათეიზმის, სოციოლოგიური გამოკვლევების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა განყოფილებები.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

I. პარტიულ-სამეურნეო აქტივის ფაკულტეტი

პარტიული მშენებლობის, საბჭოთა მშენებლობის განყოფილებები.

II. პროპაგანდისტული კადრების ფაკულტეტი

პოლიტეკონომიის, პროპაგანდისტული ოსტატობის ამაღლების განყოფილებები.

დაუსწრებელი განყოფილება შექმნილია რესპუბლიკის სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივისა და იდეოლოგიური კადრების მოსამზადებლად.

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში მსმენელები მიიღებიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს რეკომენდაციებით.

უნივერსიტეტში სწავლების ვადა ორი წელია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ პარტიული განათლების სისტემაში უმაღლესი პოლიტიკური განათლების დიპლომებს.

ჩარიცხვა ინარმოებს მიმდინარე წლის 30 ივნისამდე. ცნობებისათვის მიმართეთ მისამართით: ქ. თბილისი, შ. ცხაკაიას ქ. № 6, ტელეფონი: 99-01-02; 99-79-61; 99-78-32; 93-74-04.

1 ივნისი ● საკდესი იუწყება

ეკონომიკა • ფაქტები • მოვლენები

მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის

გამოხმაურება

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინში გამართული თათბირის შედეგები, მათი ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის შესახებ“ და საბოლოო ხმდომაზე მიღებული კომუნიკე მსოფლიო საზოგადოებრიობის უყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი აღნიშნავენ, რომ ბერლინის თათბირი და მისი შედეგები მოწმობს, თუ რა ჰუმანური ხასიათისაა სოციალიზმის პოლიტიკა, რომ იგი ახალ იმპულსს ანიჭებს ფართო ბრძოლას ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის. კომენტარებში ხაზგასმულია ბერლინში წამოყენებული წინადადების კონკრეტული და კონსტრუქციული ხასიათი, რომელთა მიზანია ამ გადაუდებელი საკმის მიღწევა.

„მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის: ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების, ევროპისა და მსოფლიოს უშიშროების განმტკიცების მიზნით“ — ბულგარეთის გაზეთის „ზემედელსკო ზნამეს“ ეს სათაური მკაფიოდ გამოხატავს ბერლინში გამართული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შეხვედ სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კომენტარების არსს. ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეში, წერს გაზეთი, მსოფლიო მეტად სუსტი გახდა ომისა და ძალისმიერი პოლიტიკისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ახლანდელ პირობებში, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის სამხედრო გზის გამოყენება დაუშვებელია, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა საჯაროდ დაადასტურეს, რომ ისინი არასოდეს, არავითარ გარემოებაში არ იყენებენ საომარ შოქმედებას არც ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ თავად არ გახდებიან შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი. ისინი არასოდეს არ გამოიყენებენ პირველნი ბირთვულ იარაღს.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „რაბოტნიჩესკო დელო“, კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ახალი აზროვნება, ახალი მიდგომა ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი, რომელიც თვით მსოფლიო მოვლენების განვითარებით არის ნაკარნახევი.

საერთაშორისო უშიშროების კომპლექსური სისტემის შექმნისათვის გამიზნულ საერთაშორისო ურთიერთობის გარდასაქმნელად სოციალისტური თანამეგობრობის მისწრაფების დამაჯერებელ დადასტურებას უწოდებს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“. ამ მიზნის მიღწევისათვის, ხაზს უსვამს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის ლიკვიდაციას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებასა და სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალების შეზღუდვას იმ ზღვრამდე, რომელიც საკმარისია თავდაცვისათვის.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ ძირითად ყურადღებას მიაყრობს განიარაღებისა და ნდობის განმტკიცების დარგში თათბირის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ წინადადებათა კონკრეტულ, კომპლექსურ ხასიათს. გაზეთი წერს, რომ თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ წამოყენებულ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირებისა და ნდობის გადიდების გეგმას. ბერლინში გამართული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი არის მშვიდობისათვის ნდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საკითხებში ახალი აზროვნების ნიმუში, აღნიშნავს ვარშავის „ჟოლპეჟ ვოლნ“.

ბერლინის თათბირმა, ხაზს უსვამს „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ცხადყო ჩვენი კეკშირის სრული ერთიანობა და შეკავშირება. საბოლოო ანგარიშით საერთაშორისო საქმეებში გონებამ და რეალიზმმა რომ გაიმარჯვოს, მომავალშიც საჭიროა ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოების ენერგიული და კონსტრუქციული პოლიტიკა, სოციალიზმის მზარდი ძალა და თანამშრომლობა პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან.

.ამერიკის პრესა ხაზს უსვამს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებას ჩრდილოეთატლანტიკური კავშირის წევრებისადმი, რომ დაიწყონ ერთობლივი კონსულტაციები შესაბამისი სამხედრო დოქტრინების შეპირისპირების მიზნით. „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ბერლინში გამოიხატა მზადყოფნა მოაწყონ ასეთი კონსულტაციები უკვე წელს, რათა მიაღწიონ ერთმანეთის განზრახვათა უკეთ გაგებას და ორი ბლოკის სამხედრო კონცეფციებისა და დოქტრინების თავდაცვითი მიმართულების უზრუნველყოფას. თვის მხრივ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინის გამეკვეყნება ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა აშკარად თავდაცვით კონცეფციასა, რომელსაც ეს სახელმწიფოები ადგანან, და ნატოში მიღებულ „მოქნილი რეაგირების“ დოქტრინას შორის, რომელიც არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის პირველ გამოყენებას.

ფრანგული „�dიენ დე პარი“ ნოვატორულს უწოდებს წინადადებას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა და ნატოს შორის კონსულტაციების მოწყობის შესახებ სამხედრო დოქტრინების თაობაზე. გაზეთი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ბერლინის თათბირის მონაწილეთა მიერ გამოხატულ გადაწყვეტილებას აქტიურად შეუწყონ ხელი მოლაპარაკების გზით რეგიონალური კონფლიქტების სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინში გამართული თათბირის შედეგები, ხაზგასმულია გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის ჰ. მისის განცხადებაში, არავითარ ეჭვს არ იწვევენ, რომ სოციალიზმის სამშვიდობო სტრატეგიის ყოვლისმომცველი და რადიკალური ხასიათი აქვს. საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ საბჭოთა წინადადების დაუყოვნებლივ განხორციელება უნდა გახდეს პირველი რეალური ნაბიჯი ბირთვული განიარაღების გზაზე.

დემოგრაფია

იზრდება მოსახლეობის რიცხვი

კაირო. ეგვიპტის მოსახლეობა **ყოველწლიურად 2,8 პროცენტით მატულობს, გამოაცხადა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამართველომ, რომელმაც გაანალიზა მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგები.** დიდი შობადობა ქვეყანაში შეშფოთებას იწვევს. დემოგრაფიული აფეთქება, რომლის შედეგად ეგვიპტის მოსახლეობამ უკვე გადააჭარბა 50 მილიონს, ამწვავებს ბევრ ისეთ სოციალურ პრობლემას, როგორიცაა სამუშაო ადგილების, ბინებისა და სურსათის ნაკლებობა, ნოლოსის ხეობის მოსახლეობის სიჭარბე.

საგულისხმოა, რომ ეგვიპტეში მიმდინარე შობადობის შემცირების კამპანიის მიუხედავად, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი პრესა, რადიო და ტელევიზია, მოსახლეობის რიცხვის ზრდის ახლანდელი ტემპი უსწრებს 60-იანი წლების მაჩვენებლებს.

● ლიბანი

დაიღუპა პრემიერ-მინისტრი

ბეირუთი. ლიბანის **რადიოსადგურები იუწყებიან, რომ დაღუპა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რაშიდ კარამე.** ლიბანის არმიის სარდლობის ოფიციალური ვერსიის თანახმად, დღეს სამხედრო ვერტფრინავში, რომელშიც იმყოფებოდნენ რ. კარამე, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდალა არ-რასი, აგრეთვე რამდენიმე ოფიცერი და თანმხლები პირი, მოხდა აფეთქება. ვერტფრინავმა, რომელიც ქალაქ ტრიპოლიდან ბეირუთში მიფრინავდა, მოახერხა დაშვებულიყო ლიბანის სამხედრო-საჰაერო ძალების ჰაერიათის ბაზაზე. დაზარალებულნი მიიყვანეს საავადმყოფოში.

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ვერტმფრინავში დამალული იყო პრემიერ-მინისტრის სავარძლის ქვეშ.

რაშიდ კარამე ლიბანის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, მუსლიმანური სუნიტური თემის ავტორიტეტიანი პოლიტიკური ლიდერი იყო. იგი არაერთხელ ყოფილა მთავრობის წევრი, მათ შორის კაბინეტის მეთაურიც. 1984 წლის აპრილში კვლავ დანიშნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მომდინარე წლის მაისში კი გადადგა და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡ, ᲮᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐᲯᲝᲠᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲛᲔ.

ᲛᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲑᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲛ. ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲮᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ — ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ, ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲑᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲘᲓ ᲮᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘᲗ ᲨᲔᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲮᲐᲑᲠᲘᲛᲚᲝᲑᲐ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲗ ᲩᲐᲒᲘᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ Გ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲓᲐ ᲛᲘᲝᲗᲮᲝᲕᲐ: — ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲒᲐᲜᲗᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲝᲜᲓᲔᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲒᲮᲕᲓᲔᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲘᲡ.

ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲛ ᲐᲗᲝᲛᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ Გ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲓᲐ ᲛᲘᲝᲗᲮᲝᲕᲐ: — ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲒᲐᲜᲗᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲝᲜᲓᲔᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲒᲮᲕᲓᲔᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲘᲡ.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲜᲐᲠᲔᲕᲖᲔ

Ვ. ᲜᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

...ᲘᲝᲜᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐ ᲞᲚᲐᲪᲓᲐᲠᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠᲛ ᲓᲦᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲛᲔᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ. ᲜᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲞᲚᲐᲪᲓᲐᲠᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲠᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲓᲐ ᲛᲘᲝᲗᲮᲝᲕᲐ: — ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲒᲐᲜᲗᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲝᲜᲓᲔᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲒᲮᲕᲓᲔᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲘᲡ.

ᲘᲠᲘᲤᲘᲠᲐᲯᲐ. ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲘᲡᲐᲠᲘ ᲣᲕᲥᲕᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲛ ᲡᲐᲜᲒᲠᲘᲗ ᲡᲐᲗᲐᲕᲒᲐᲜᲗᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲕᲘ ᲨᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐ ᲒᲐᲮᲡᲝᲓᲐ: ᲘᲡᲘᲯ ᲡᲐᲗᲐᲕᲒᲐᲜᲗᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲒᲕᲘᲜᲐᲕᲐᲜᲗᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲒᲕᲘᲜᲐᲕᲐᲜᲗᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ 354-Ე ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ Გ. ᲯᲐᲜᲯᲦᲐᲕᲐᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲞᲐ. ᲑᲐᲢᲝᲕᲘ. ᲛᲐᲜ ᲛᲘᲝᲡᲛᲘᲜᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲡᲑᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ 354-Ე ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲩᲐᲯᲓᲐ